ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

ედესია კაპანაძე

# ბიზნესგარემოს ეკონომიკური რეგულირების მიმდინარე რეფორმები საქართველოში

ნაშრომი შესრულებულია ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: დავით ნარმანია, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

თბილისი 2020

# ანოტაცია


სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ბიზნესგარემოს ეკონომიკური რეგულირების მიმდინარე რეფორმები საქართველოში. ნაშრომი მოიცავს: სატიტულო ფურცელს, ანოტაციას, შინაარსს, შესავალ ნაწილს, ძირითად ნაწილს და დასკვნებს.

ნაშრომში განხილულია ეკონომიკური რეგულირების სამი რეფორმა: ეროვნული ბანკის რეგულაცია ფიზიკური პირების დაკრედიტების შესახებ, შრომითი უსაფრთხოების ნორმების გამკაცრება და ენერგეტიკის ბაზრის რეგულირება.

განხილული მაქვს აღნიშნული რეგულაციების არსი, მათი აუცილებლობა და გავლენა ბიზნესექტორზე. ეროვნული ბანკის რეგულაციებმა დიდი გავლენა მოახდინა როგორც საბანკო, ასევე არასაბანკო სეგმენტზე. შევისწავლე გატარებული რეფორმების გავლენა არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებზე- მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, ვალუტის გადამცვლელ პუნქტებზე და სესხის გამცემ სუბიექტებზე. წარმოდგენილი მაქვს შრომითი უსაფრთხოების კუთხით საქართველოში არსებული მდგომარება და ამ სფეროში გატარებული რეგულაციების შედეგები. ენერგეტიკის ბაზრის ლიბერალიზაცია წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს ენერგო ბაზრის განვითარებისათვის, სწორედ ამიტომ, ნაშრომში წარმოვადგინე ამ სექტორში არსებული მდგომარეობა და ბოლო წლებში გატარებული რეფორმები.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნები, სადაც შეჯამებულია აღნიშნული რეფორმების დადებითი და უარყოფითი შედეგები.

# Annotation

The master thesis discusses the current reforms of economic regulation of the business environment in Georgia. The paper includes: title page, annotation, content, introductory part, main part and conclusions.

The paper discusses three reforms of economic regulation: new lending regulations of the National Bank of Georgia, stringent labor safety regulations and the regulation of the energy market.

I have discussed the essence of these regulations, their necessity and impact on the business sector. National Bank regulations have had a major impact on both the banking and non-banking segments. I have studied the impact of the reforms on non-bank financial institutions - microfinance organizations, currency exchange offices and lenders. I presented the current situation in Georgia in terms of labor safety and the results of the regulations in this area. Liberalization of the energy market will be a step forward for the development of the energy market in Georgia, which is why I presented in the paper the current situation in this sector and the reforms that have been carried out in recent years.

The conclusions are presented at the end of the paper. They summarize the positive and negative results of these reforms.

# სარჩევი

ანოტაცია ..... 2

Annotation ..... 3

შესავალი ..... 5

თავი 1. ეროვნული ბანკის რეგულაციები ფიზიკური პირების საცალო დაკრედიტების შესახებ ..... 7

1.1 არსებული მდგომარეობის შეფასება და რეგულაციების აუცილებლობა ..... 7

1.2 პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეგულაციის გავლენის შეფასება ..... 10

1.3. რეგულაციების გავლენის შეფასება არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებზე. ..... 14

1.3.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ..... 14

1.3.2. ვალუტის გადამცვლელი პუნქტები ..... 21

1.3.3. სესხის გამცემი სუბიექტები ..... 22

თავი 2. შრომითი უსაფრთხოების ნორმების გამკაცრება ..... 24

2.1. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი ..... 24

2.2. სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების სტატისტიკა ..... 27

თავი3. ენერგეტიკის ბაზრის გახსნა და მისი გავლენა ტარიფებზე ..... 30

3.1 ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანი და ძირითადი მიმართულებები. ..... 30

3.2. სემეკი ..... 34

3.3 სატარიფო პოლიტიკა ..... 36

3.4. ელექტროენერგიის გამომუშავება, მოხმარება, ექსპორტი და იმპორტი ..... 38

დასკვნა ..... 43

გამოყენებული ლიტერატურა: ..... 46

დანართი ..... 48

# შესავალი

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული თითოეული რეფორმა მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. საქართველოს მთავრობა ცდილობს საქართველოში გატარებული რეფორმები იყოს ეფექტიანი როგორც ცალკეული ბიზნეს სექტორისათვის, ასევე მთლიანად ეკონომიკისათვის. რეფორმების გატარების მიზანია ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, ჯანსაღი ბიზნეს კლიმატის ჩამოყალიბება, საკანონმდებლო ბაზის მაქსიმალურად დახვეწა და დაახლოება ევროპულ კანონმებლობასთან.

მას შემდეგ, რაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულება გაფორმდა, მთავრობა და შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები განსაკუთრებით აქტიურად მუშაობენ ქვეყნის ბიზნეს გარემოს გაჯანსაღებაზე. ნაშრომში განხილულია ბოლო წლებში გატარებული სამი უმნიშვნელოვანესი რეფორმა. საკმაოდ რთული მდგომარეობა იყო ფიზიკური პირების დაკრედიტების მიმართულებით. ასი ათასობით ადამიანს გააჩნდა სესხები, რომელიც იყო არაადეკვატური მის შემოსავალთან შედარებით, შესაბამისად, ბევრი ადამიანი გადახდისუუნარო აღმოჩნდა. საჭირო გახდა გარკვეული ღონისძიებების გატარება. 2018 წლის 24 დეკემბერს  საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა დებულება ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ. დებულება ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. ამ დებულების ძირითადი მიზანი ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება და საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფაა. აღნიშნულ რეგულაციებს დაექვემდება ყველა სესხის გამცემი სუბიექტი, შესაბამისად, რეგულაციები გავრცელდა იმ სეგმენტზეც, რომელიც წლების განმავლობაში უკონტროლო იყო.

2006 წელს გაუქმდა შრომის სახელმწიფო ინსპექცია, რაც გამოწვეული იყო ,,სახელმწიფოს დერეგულირების პოლიტიკით“. ამ ინსტიტუტის გაუქმებამ გამოიწვია შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, მთელი ქვეყნის მაშტაბით. 2015 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ,,შრომის პირობების მონიტორინგის პროგრამა“, რომლის მიზანი იყო დახმარებოდა დამსაქმებელს, ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო პირობების ჩამოყალიბებაში. დაიგეგმა გასატარებელი ღონისძიებები: დასაქმებულისა და დამსაქმებლის ინფორმირების დონის ამაღლება, დარღვევების გამოვლენა და მათი პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შესაბამისი სტანდარტების შემუშავება, მონიტორინგისა და საზედამხედველო სამუშაოების ორგანიზება. ამავე წელს შეიქმნა შრომის პირობების ინფექტირების დეპარტამენტი. აღნიშნული დეპარტამენტი აქტიურად ეწევა საზედამხედველო საქმიანობას, რაც

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უბედური შემთხვევებისა და ინციდენტების პრევენციისათვის.

მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა ენერგეტიკის ბაზრის ლიბერალიზაციის მიმართულებით. თანდათან ყალიბდება კონკურენტული გარემო, რაც უფრო მიმზიდველს ხდის ბაზარს ინვესტორებისათვის, ხელს უწობს ენერგეტიკის სფეროს ეფექტიანად ფუნქციონირებას და მომხმარებლისათვის შესაბამისი რესურსის სწრაფად, მარტივად და ხარისხიანად მიწოდებას.

# თავი 1. ეროვნული ბანკის რეგულაციები ფიზიკური პირების საცალო დაკრედიტების შესახებ

## 1.1 არსებული მდგომარეობის შეფასება და რეგულაციების აუცილებლობა

სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტისა და კომპანიების მტაცებლურმა და სრულიად უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ, მოსახლეობის დიდი ნაწილი საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ჩააგდო. ასი ათასობით ადამიანს გააჩნდა სესხები, რომელიც იყო არაადეკვატური მის შემოსავალთან შედარებით, შესაბამისად, 700 ათასამდე ადამიანი გადახდიუუნარო აღმოჩნდა. ისინი გაუთვიცნობიერებლად მიღებული გადაწყვეტილებების გამო, კარგავდნენ უძრავ ქონებას, ან დაკარგვის რისკის ქვეშ იყვნენ. ეს ყველაფერი კი არაჯანსაღი და უპასუხისმგებლო დაკრედიტების პრაქტიკიდან გამომდინარეობდა.

2012-2018 წლებში 15%-დან 40%-მდე გაიზარდა ფიზიკური პირების დაკრედიტება მშპ-სთან მიმართებაში. საკმაოდ მაღალი იყო დაკრედიტების ზრდის ტემპიც. დავალიანების მოცულობა უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მისი დაფარვის/მომსახურების შესაძლებლობა. აღნიშნული სიტუაცია რამდენიმე წელიწადში აუცილებლად გამოიწვევდა განსაკუთრებით მძიმე შედეგებს ფინანსური სექტორის და ზოგადად ეკონომიკის მიმართულებით.

საჭირო გახდა გარკვეული ღონისძიებების გატარება. 2018 წლის 24 დეკემბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა დებულება ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ. დებულება ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. ამ დებულების ძირითადი მიზანი ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება და საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფაა. ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება ფიზიკურ პირზე (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეზე), ყველა სახის სესხზე ან/და თავდებობაზე/უზრუნველყოფის საშუალების მიწოდებაზე.

სესხის გამცემი ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია, სესხის გაცემის პროცესში, შეაფასოს მსესხებლის შემოსავალი, უზრუნველყოფის ღირებულება და სესხი უნდა გაიცეს ამ დებულებით დადგენილი ყოველთვიური გადასახდელისა (PTI) და უზრუნველყოფის ღირებულების (LTV) შესაბამისი ზღვრების ფარგლებში. (იხ. ცხრილი 1.1 და ცხრილი 1.2)

ცხრილი 1.1. სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტები

| ყოველთვიური წმინდა შემოსავალი, ლარი | არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის<br><br>მაქსიმალურ/ საკონტაქტო ვადიანობაზე | ჰეჯირებული მსესხებლებისთვის<br><br>მაქსიმალურ/ საკონტაქტო ვადიანობაზე |
|---|---|---|
| <1000 | 20% / 25% | 25% / 35% |
| >=1000-2000< | | 35% / 45% |
| >=2000-4000< | 25% / 30% | 45% / 55% |
| >=4000 | 30% / 35% | 50% / 60% |

წყარო: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3545

ცხრილი 1.2. სესხის უზრუნველყოფის მაქსიმალური კოეფიციენტები..

| | |
|---|---|
| ლარით გაცემული სესხებისთვის | 85% |
| უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის | 70% |

წყარო:https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3545

აღნიშნული დებულებით გათვალისწინებული პირობები არ ვრცელდება მოძრავი ქონებით (ავტომობილით) უზრუნველყოფილ სესხებზე. ასევე ფიზიკურ პირზე, რომლის ჯამური დავალიანება სესხის გამცემი ორგანიზაციის მიმართ, სესხის აღების შემდგომ, აღემატება 2000000 ლარს, ან მის ეკვივალენტს უცხოური ვალუტით. რესტრუქტურიზირებულ სესხზე, თუ ამავდროულად არ ხდება ვალდებულების ზრდა. ( ვალდებულების ზრდად არ ითვლება სესხზე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის თანხა, სხვადასხვა სახის საკომისიო, პირგასამტეხლო და სხვა ხარჯი, როგორიცაა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურების ხარჯი და ნოტარიუსის ხარჯი).

აღნიშნული დებულება არ ეხება სესხებს, რომელიც სრულად არის უზრუნველყოფილი ფინანსური ინსტრუმენტებით (მათ შორის ფასიანი ქაღალდებით) და/ან ფულადი სახსრებით. იმ შემთხვევაში, თუ ხდება დასაკუთრებული უძრავი ქონების ყოფილი მესაკუთრისათვის ან ოჯახის წევრისათვის უკან დაბრუნების მიზნობრიობით სესხის გაცემა, აღნიშნული დებულება არ იმოქმედებს.

განისაზღვრა მაქსიმალური ვადები სესხების სხვადასხვა ტიპებისათვის: იპოთეკური სესხი - 15 წელი, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი

სამომხმარებლო სესხი - 10 წელი, სატრანსპორტო სესხებისათვის - 6 წელი და სხვა დანარჩენი სესხებისათვის - 4 წელი.

დებულების მიხედვით, უნდა მოხდეს პირის გადახდისუნარიანობის დეტალური ანალიზი, რაც მოიცავს: პირის შემოსავლისა და ხარჯების ანალიზს, ბიუროში საკრედიტო ინფორმაციის გადამოწმებას, მოპოვებული ინფორმაციის სანდოობის და სისწორის გადამოწმებას. ფიზიკური პირის შემოსავლის დასადასტურებლად გამოიყენება სახელფასო ამონაწერი ან/და ცნობა შემოსავლის შესახებ. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, პირის გადახდისუნარიანობის და შემოსავლის სტაბილურობის ანალიზი უნდა მოხდეს სესხის გამცემი ორგანიზაციის შიდა პოლიტიკიდან / პროცედურიდან გამომდინარე. (აღნიშნული პოლიტიკა უნდა იყოს შეთანხმებული ეროვნულ ბანკთან). შესაძლებელია სესხის გაცემა უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების ანალიზის საფუძველზე.

სესხის გამცემ ინსტიტუტს არ ეზღუდება თავდების  და თანამსესხებლის გამოყენება. შესაძლებელია თავდებობის გამოყენება, მხოლოდ იმ თანხის ფარგლებში, რისი მომსახურების რესურსიც აქვს თავდებს.  მაგალითად, თუ თქვენ ბანკში იღებთ სესხს და თავდებობას სთხოვთ  მეგობარს, რომელსაც არ უფიქსირდება შემოსავალი, მაგრამ საკუთრებაში აქვს ბინა, თქვენი სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში, სესხის ნარჩენი ვალდებულება სრულად გადავა თქვენს მეგობარზე. თუ თქვენს მეგობარს არ აქვს საკმარისი შემოსავალი აღნიშნული ვალდებულების მომსახურებისათვის, შესაძლოა მან დაკარგოს მის საკუთრებაში არსებული საცხოვრისი. მსგავსი შემთხვევები საკმაოდ ხშირია და ამ რეგულაციით იზღუდება იმ პირის თავდებობა, ვისაც სესხის გადახდისათვის საკმარისი შემოსავალი არ უფიქსირდება. თუ თქვენი შემოსავალი არასაკმარისია, შეგიძლიათ თანამსესხებლის გამოყენება, რომელსაც უფიქსირდება შემოსავალი და არის საოჯახო მეურნეობის წევრი. ამ შემთხვევაში, სესხის მომსახურების კოეფიციენტში გაითვალისწინება თანამსესხებლის შემოსავალიც.

აღსანიშნავია ასევე ცვლილება, რომელიც შეეხო სესხის მაქსიმალურ საპროცენტო განაკვეთს. 2018 წლის 1 ნოემბრიდან სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 100%-დან 50%-მდე შემცირდა. აღნიშნული ცვლილება შეეხო ძირითადად სალომბარდე ტიპის სესსხებს და მიკროსაფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემულ სესხებს. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50%-ს ამ რეგულაციებამდეც არ ცდებოდა. ეს რეფორმა მნიშვნელოვნად აიაფებს ონლაინ სესხებს, სალომბარდე ტიპის სესხებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხებ. აღნიშნული ფინანსული ინსტიტუტების მიერ გაცემულ სესხებზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ხშირ შემთხვევაში 100%-საც კი აჭარბებდა.

2018 წლის პირველი სექტემბრიდან ცვლილება შევიდა ასევე ვადაგადაცილებულ სესხებზე ჯარიმის / საურავის დარიცხვის სისტემაში. თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე დარიცხული ჯარიმის თანხა არ უნდა აღემატებოდეს ნარჩენი ძირი თანხის 0.27%-ს. შესაბამისად, სანქციის რაოდენობა წლიურად უნდა იყოს არაუმეტეს 98,55%. აღნიშნული მაჩვენებელი რეგულაციის ამოქმედებამდე 150%-საც კი აღწევდა.

რეფორმების მიმღები და განამხორციელებელი ინსტიტუტები ფიქრობენ, რომ აღნიშნული რეფორმები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოში არსებულ მდგომარეობას ფიზიკური პირების დაკრედიტების მიმართულებით. მინიმუმამდე შემცირდება სესხების რაოდენობა, რომლის მომსახურების შესაძლებლობა არ გააჩნია პიროვნებას. აღნიშნული კი დადებით გავლენას მოახდენს როგორც ფიზიკური პირის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასევე შეამცირებს სესხის გამცემი ორგანიზაციის ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობას.

## 1.2 პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეგულაციის გავლენის შეფასება

2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული რეგულაციების შედეგად, შესამჩნევია საცალო სესხების ბიზნეს სესხებით ჩანაცვლების ტენდენცია. რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს. 2019 წლის ბოლოსათვის აღინიშნა მთლიანი საკრედიტო პორტფელის ზრდა 16,2%-ით, რაც მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ბოლო სამი წლის ანალოგიური მაჩვენებლისგან. თუმცა, აღსანიშნავია სესხების ზრდის სტრუქტურული ცვლილება. ფიზიკური პირების დაკრედიტების ზრდის ტემპი შემცირდა 8%-ით, იურიდიული პირების დაკრედიტების ზრდის მაჩვენებელში კი შეიმჩნევა ზრდის ტენდენცია 7,8%-ით. (იხ: დიაგრამა 1.1)

რადგან, ბიზნეს სესხები უფრო მეტ დამატებით ღირებულებას ქმნის, ვიდრე ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები, ზემოთ აღნიშნული სესხების ჩანაცვლების ტენდენციის გაგრძელება, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებს გრძელვადიან პერიოდში.

**დაიგრამა 1.1. სესხების წლიური ზრდის ტემპი მიზნობრიობის მიხედვით**




**წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი**

https://analytics.nbg.gov.ge/views/_3/sheet2?iframeSizedToWindow=true&:embed=y&:showAppBanner=false&:display_count=no&:showVizHome=no

2018-2019 წლებში განსაკუთრებით მაღალი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა ბიზნეს სესხების სეგმენტი. უნდა აღინიშნოს ასევე ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხების რაოდენობის ზრდა. გატარებული რეფორმები ამ სეგმენტს ყველაზე ნაკლებად ზღუდავს, ვინაირად ავტოსესხების გაცემის პროცესი მაქსიმალურად მარტივია, არ არის საჭირო შემოსავლის დადასტურება. შესაბამისად, მომხმარებლები, რომელთაც არ შეუძლიათ შემოსავლის დადასტურება, მარტივად იღებენ თანხებს მხოლოდ უზრუნველყოფის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე PTI- და LTV-ს მაჩვენებლების შესაბამისი მნიშვნელობების გათვალისწინებით. კლება დაფიქსირდა იპოთეკური და სალომბარდე სესხების მაჩვენებლებში.

დიაგრამა 1.2. სესხები მიზნობრიობის მიხედვით,ნაშთი ათასი ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი : https://www.nbg.gov.ge/index.php?m=715

ცხრილი 1.3. სესხები მიზნობრიობის მიხედვით,ნაშთი ათასი ლარი

| | იპოთეკა | სამომხმარებლო სესხი | ბიზნეს სესხი | მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხი | სალომბარდე სესხი | ავტოსესხი | სხვა სესხი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2018 I კვ** | 12842611 | 11156479 | 20086443 | 15920275 | 1501755 | 269340 | 4215588 |
| **2018 II კვ** | 13858243 | 11247496 | 21254556 | 16118006 | 1563642 | 278956 | 4387786 |
| **2018 III კვ** | 15459781 | 11333606 | 22902424 | 16495723 | 1598344 | 274876 | 4283401 |
| **2018 IV კვ** | 17680085 | 11642084 | 25476271 | 17685828 | 1578404 | 285426 | 4114107 |
| **2019 I კვ** | 18019278 | 11321360 | 26263836 | 17992062 | 1563856 | 292098 | 4201136 |
| **2019 II კვ** | 19073486 | 11490698 | 27629922 | 19108772 | 1563083 | 303531 | 3828811 |
| **2019 III კვ** | 20374865 | 11907493 | 31636882 | 19992054 | 1332323 | 333872 | 3451388 |
| **2019 IV კვ** | 21051823 | 12193146 | 34784425 | 20892453 | 1262199 | 373516 | 3484881 |

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი : https://www.nbg.gov.ge/index.php?m=715

რეფორმის ამოქმედებიდან ერთი წლის შემდეგ მნიშვნელოვნადაა პორტფელის ხარისხი და დაკრედიტების სტანდარტი გაუმჯობესებული.

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად არ შემცირებულა სესხებზე მოსახლეობის ხელმისაწვლომობის მაჩვენებელი. შემცირდა ხელმისაწვდომობა მარალპროცენტიან სწრაფ და ონლაინ სესხებზე. 2019 წლის ბოლოსათვის გაუმჯობესებულია დეფოლტის ( 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება) მაჩვენებელი.

**დიაგრამა 1.3. მთლიანი სასესხლო პორტფელის ცვლილება წინა წელთან შედარებით**




**წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი ( 2019 წლის ნაგარიში. გვ: 90)**

გრაფიკზე მოცემულია ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების რაოდენობა როგორც საბანკო, ასევე არასაბანკო სექტორში, აღსანიშნავია გაცემული სესხების რაოდენობის შემცირება არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების მაჩვენებელში. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული რეფორმები განსაკუთრებით მწვავედ სწორედ ამ სექტორს შეეხო. გრაფიკზე მოცემულია ასევე გაცემულის სესხების რამდენ პროცენტზე დაფიქსირდა დეფოლტი (ვადაგადაცილება 30 დღეზე მეტი ). უნდა ავღნიშნოთ, რომ დეფოლტის მაჩვენებლის გაანგარიშებას სჭირდება გარკვეული ვადით დაკვირვება, თუმცა თუ გადავხედავთ მსგავსი სესხების დეფოლტის დადგომის მაჩვენებლებს, პირველი ექვს თვიანი შედეგები გარკვეული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. რადგან მსგავსი ტიპის სესხებზე არინიშნება დეფოლტის დადგომა სესხის გაცემიდან სწორედ პირველი ექვსი თვის ვადაში.

რთულია ვისაუბროღთ ჯანსაღი დაკრედიტების მიმართულებით გატარებული რეფორმების შედეგებზე რეგულაციების ამოქმედებიდან ერთი წლის ან წელიწად ნახევრის მონაცემებიდან გამომდინარე, რადგან აღნიშნული რეგულაციების ეფექტიანობა, ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას გამოიწვევს

გრძელვადიან პერიოდში. თუმცა, შეგვიძლია რეგულაციების ამოქმედების ერთი წლის შეჯამებით, გარკვეული ტენდენციები გამოვკვეთოთ.

## 1.3. რეგულაციების გავლენის შეფასება არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებზე.

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა არასაბანკო სექტორის რეგულირების მიმართულებით. რეფორმები შეეხო როგორც რეგულირებად სექტორს, ასევე იმ სეგმენტს, რომელთა მონაწილეები საფინანსო საქმიანობას წლების განმავლობაში ეწეოდნენ ყოველგვარი რეგულირების გარეშე. აღნიშნული კანონმდებლობის გამკაცრება მნიშვნელოვნად შეამცირებს რისკების დონეს, გააამჯობესებს მომხმარებელთა უფლებების დაცვას, ხელს შეუწყობს შეთავაზებული მომსახურების ხელმისაწვდომობას. რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლებს.

2018 წელს დამტკიცდა ,,სესხის გამცემი სუბიექტების საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტარციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი“. აღნიშნული დებულებით, რეგულირებას დაექვემდება ყველა სუბიექტი, რომელიც სესხებს გასცემს 20-ზე მეტ ფიზიკურ პირზე. აღსანიშნავია, რომ ეს სეგმენტი 2018 წლამდე სრულიად უკონტროლო იყო.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არასაბანკო ფინანსური სექტორი აერთიანებდა: 48 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, 847 ვალუტის გადამცვლელ პუნქტს ( 650 სათაო ოფისი და 197 ფილიალი), 378 სესხის გამცემ სუბიექტს ( 204 სათავო ოფისი და 174 ფილიალი ) და 2 საკრედიტო კავშირს.

არასაბანკო საფინანსო სექტორის მთლიანი აქტივების წილი, მთლიანი საფინანსო სექტორის თითქმის 4%-ს შეადგენს, რაც თანხობრივად დაახლოებით 2 მლრ ლარია. აღსანიშნავია მიკროსაფინანსო ინსტიტუტების წილი 1,4 მლრ ლარით.

### 1.3.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.

დაკრედიების პირობების გამკაცრების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, სექტორი საკრედიტო პორტფელის ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. წლიური ზრდის ტემპმა 2018 და 2019 წლებთან შედარებით 3% შეადგინა. მთლიანი საკრედიტო პორტფელი 1,13 მლრდ ლარით განისაზღვრა.

**დიაგრამა 1.4. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა და მთლიანი სესხების მოცულობა.**




**წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი ( 2019 წლის ანგარიში, გვ: 186)**

2019 წლის მონაცემებით, მიკროსაფინანსო სექტორში გაცემული სესხების უმეტესი ნაწილი, 69% შეადგინა სამომხმარებლო სესხებმა, რაც მოიცავს როგორც სამომხმარებლო სესხებს, ასევე ლომბარდული ტიპის სასესხო ვალდებულებებს, განვადებები, ონლაინ სესხები და სხვა).

**დიაგრამა 1.5. მთლიანი საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა**




**წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი ( 2019 წლის ანგარიში, გვ:187)**

როგორც გრაფიკიდან ჩანს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემულმა სამომხმარებლო სესხების პორტფელმა თანხობრივად 780 მილიონი ლარი შეადგინა. რაც, წინა წლის აღნიშნულ მონაცემებთან შედარებით 18 მილიონი ლარითაა შემცირებული. აღსანიშნავია  სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მომსახურების სექტორებზე გაცემული სესხების როდენობის ზრდა. ამ სეგმენტზე გაცემული სესხების 90 პროცენტი მხოლოდ 4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერაა გაცემული.

განვიხილოთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების რაოდენობრივი და თანხობრივი მაჩვენებლები 2018 წლის პირველი მეოთხედიდან, 2019 წლის მეოთხე მეოთხედის ჩათვლით. აღნიშნული ორი წლის განმავლობაში, კლების ტენდენციით ხასიათდება ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების მაჩვენებლები. თუმცა ზრდა ფიქსირდება იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების როგორც თანხობრივ, ასევე რაოდენობრივ მაჩვენებლებში. ( იხ: დიაგრამა 1.6, დაიგრამა 1.7, დიაგრამა 1.8, დიაგრამა 1.9 ).

**დიაგრამა 1.6. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები (თანხობრივი მაჩვენებლი, მლრდ ლარი )**




**წყარო:** https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304

დიაგრამა 1.7. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები ( რაოდენობრივი მაჩვენებელი)




**წყარო:** https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304

დაიგრამა 1.8. იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები ( თანხობრივი მაჩვენებელი, მლნ ლარი)




**წყარო:** https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304

**დიაგრამა 1.9. იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები (რაოდენობრივი მაჩვენებელი)**




**წყარო:** https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების წილის შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო რამდენიმე მსხვილი ონლაინ გამსესხებლის ბაზრიდან გასვლით და სხვა სესხის გამცემი სუბიექტების მიერ ონლაინ სესხების ნაშთების შემცირებით. ამ ფაქტმა, დადებითად იმოქმედა საკრედიტო პორტფელის ხარისხზე. შემცირდა ვადაგადაცილებული და უმოქმედო სესხების წილი. აღინიშნება მთლიან პორტფელში ვადაგადაცილებული სესხების წილის 13%-დან 10%-მდე შემცირება და უმოქმედო სესხების წილის 9.2%-დან 8.3%-მდე შემცირება.

**დიაგრამა 1.10. საკრედიტო პორტფელის ხარისხი**




**წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი ( 2019 წლის ანგარიში, გვ:188 )**

2017 წელს ცვლილება შევიდა სესხის უცხოური ვალუტით გაცემის პირობებში. [1] საკანონმდებლო ცვლილების შედეგად აიკრძალა ფიზიკურ პირებზე 100 000 ლარამდე სესხების უცხოური ვალუტით გაცემა. ამის შედეგად, კლების ტენდენცია განიცადა მიკროსაფინანსო ინსტიტუტების საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელმა.

**დიაგრამა 1.11. საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია**




**წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი ( 2019 წლის ანგარიში, გვ: 189 )**

საინტერესოა რეგულაციების გავლენა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებზე. 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, 5%-ით შემცირდა აქტივების დაფინანსებაში ნასესხები სახსრების წილი. აღნიშნული გარკვეულწილად განაპირობა დამატებითი კაპიტალიზაციის მოთხოვნამ. დამფუძნებლებმა ნასესხები სახსრები გადაიტანეს კაპიტალში ( მინიმუმ 1000000 ლარი ).

[1] *matsne.gov.ge*. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4312325?publication=0

**დიაგრამა 1.12. დაფინანსების წყარო**




**წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი ( 2019 წლის ანგარიში, გვ:189 )**

მიუხედავად ნასესხები სახსრების კლებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობის შემცირებისა, დარგი ლიკვიდურობას ინარჩუნებს. 2019 წელს აღინიშნა ნაღდი ფულადი სახსრების უმნიშვნელო ზრდა და საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების საგრძნობლად შემცირება.

**დიაგრამა 1.13. ლიკვიდური სახსრები**




**წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (2019 წლის ანგარიში, გვ:192)**

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემცირებამ 50%-მდე და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობის კლებამ, გამოიწვია შემცირებული წმინდა მოგება დარეზერვებამდე.

ცხრილი 1.4. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომგებიანობის მაჩვენებლები

| | 2018 | 2019 |
|---|---|---|
| მარჟა | 19% | 16% |
| სპრედი | 25% | 17% |
| | | |

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი ( 2019წლის ანგარიში, გვ:193 )

შენიშვნა: სპრედი არის ფასებს, კურსებს, განაკვეთებს შორის სხვაობა.

მაშასადამე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციები საკმაოდ არამომგებიანი აღმოჩნდა. 2019 წელს 19 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში დაიწყო ლიკვიდაციის პროცესი. ნაწილი ლიკვიდირებული ორგანიზაციები სესხის გამცემ სუბიექტებად დარეგისტრირდნენ. 12 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში დასრულდა ლიკვიდაციის პროცესი.

### 1.3.2. ვალუტის გადამცვლელი პუნქტები

2016 წლიდან მნიშვნელოვნად მცირდება ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რაოდენობა. კლების ტენდენცია დაფიქსირდა 2019 წელსაც. აღნიშნულ სეგმენტზე გამკაცრდა სარეგისტრაციო / საზედამხედველო მოთხოვნები. რაც განპირობებული იყო მომხმარებელთა უფლებების დაცვით და მომსახურების ხარისხის ამაღლებით.

დიაგრამა 1.14. ვალუტისგადამცვლელი პუნქტების რაოდენობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი ( 2019 წლის ანგარიში, გვ: 195 )

### 1.3.3. სესხის გამცემი სუბიექტები

2017 წლის 23 დეკემბრიდან, სესხის გამცემი სუბიექტების საქმიანობის კონტროლი და მონიტორინგი დაევალა საქართველოს ეროვნულ ბანკს, რაც გულისხმობს: სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების მონიტორინგს, შეზღუდვების და სანქციების დაწესებას. სესხის გამცემი სუბიექტების რეგისტრაციის პროცესი დაიწყო 2018 წლის 20 დეკემბრიდან 2019 წლის ბოლოსათვის დარეგისტრირდა 204 სესხის გამცემი სუბიექტი.

**დაიგრამა 1.15. სესხის გამცემი სუბიექტების რაოდენობა**




**წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304**

სესხის გამცემი სუბიექტების დაფინანსების წყარო არის როგორც დამფუძნებლების სახსრები, ასევე საფინანსო ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები.

**დიაგრამა 1.16. სესხის გამცემი სუბიექტების დაფინანსების წყაროები**

**წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019 წლის ანგარიში, გვ:196**

2019 წლის ბოლოსათვის, სექტორის აქტივების მთლიანმა რაოდენობამ, 488 მლნ ლარი შეადგინა. საერთო პორტფელის 68% სალომბარდე ტიპის სესხებზე მოდის. სესხები, რომელთა მიზნობრიობა ბიზნესი, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და მომსახურებაა, საერთო პორტფელის მხოლოდ 9%-ს შეადგენს.

**დიაგრამა 1.17. საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა**




**წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019 წლის ანგარიში, გვ: 197**

# თავი 2. შრომითი უსაფრთხოების ნორმების გამკაცრება

ნებისმიერი ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა იყოს უზრუნველყოფილი უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოთი. აღნიშნული რეგულირდება როგორც ,,საქართველოს კონსტიტუციით", ასევე არაერთი საერთაშორისო დოკუმენტით.

2006 წელს გაუქმდა შრომის სახელმწიფო ინსპექცია, რაც გამოწვეული იყო ,,სახელმწიფოს დერეგულირების პოლიტიკით". ამ ინსტიტუტის გაუქმებამ გამოიწვია შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, მთელი ქვეყნის მაშტაბით. ამის დასტურად საკმარისია მოვიყვანოთ სამუშაო ადგილზე დაღუპულთა და დაშავებულთა სტატისტიკა . (იხ: დიაგრამა 2.2)

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით, საქართველო ვალდებულია კანონმდებლობა მაქსიმალურად დაუახლოვოს ევროპულ კონვენციებს, წინასწარ განსაზღვრულ ვადებში. აღნიშნულ დებულებაში გათვალისწინებულია საკანონმდებლო ბაზების გადახედვა/შემუშავება, რათა მოხდეს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა.

2015 წელს საქრთველოს მთავრობამ დაამტკიცა ,,შრომის პირობების მონიტორინგის პროგრამა", რომლის მიზანი იყო დახმარებოდა დამსაქმებელს, ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო პირობების ჩამოყალიბებაში. დაიგეგმა გასატარებელი ღონისძიებები: დასაქმებულისა და დამსაქმებლის ინფორმირების დონის ამაღლება, დარღვევების გამოვლენა და მათი პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შესაბამისი სტანდარტების შემუშავება, მონიტორინგისა და საზედამხედველო სამუშაოების ორგანიზება.

## 2.1. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი

ამავე წელს მთავრობის 81 დადგენილებით,[2] შეიქმნა შრომის პირობების ინფექტირების დეპარტამენტი. მისი ძირითადი ფუნქციებია: ხედამხედველობის განხორციელება კანონის შესაბამისად, დისკრიმინაციული შემთხვევების არმოჩენა, შესწავლა და პრევენციული ღონისძიებების გატარება, ტრეფიკინგის წინააღმდეგ გარკვეული ზომების მიღება / განხორციელება, შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების

[2] http://www.economy.ge/?page=debuleba

ინსფექტირების დეპარტამენტი ინსპექტირებას ახორციელებს სამი მიმართულებით:

1. საუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხეოებისა და ჯანმრთელობის მოთხოვნების შესაბამისობა.
2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა.
3. შრომითი ექსპლუატაციისა და იძულებითი შრომის პრევენცია.

სამივე მიმართულებით მუდმივად ხორცილედება საზედამხედველო სამუშაოები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს ეფექტიანი ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების სისტემის დანერგვას. ამ მიზნით, 2019 წელს განხორციელდა 1575 ინსპექტირება და რეინსპექტირება. ,,შრომის უსაფრთხოების კანონის“ შესაბამისად, 1264 ინსტექტირება განხორციელდა 558 ობიექტზე. შემოწმებული ობიექტების რაოდენობა, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, მოცემულია დიაგრამაზე.

**დიაგრამა 2.1. შემოწმებული ობიექტების რაოდენობა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“საქართველოს ორგანული კანონის“ შესაბამისად.**




| | |
|---|---|
| B | სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერის დამუშავება |
| C | დამამუშავებელი მრეწველობა |
| D | ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება |
| F1 | საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა |
| F2 | სამოქალაქო მშენებლობა, სპეციალიზებული სამონტაჟო და სადემონტაჟო სამუშაოები |
| G | საბითუმო და საცალო ვაჭრობა ნავთობ პროდუქტებით |
| H | ტრანსპორტი და დასაწყობება |
| I | განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის საქმიანობები |
| N | ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები |
| R | ხელოვნება, გართობა, დასვენება |

**წყარო:** https://www.moh.gov.ge/uploads/files/2019/Failebi/LCID_Geo_a4_1.pdf

შემოწმების პროცესში გამოვლინდა 4806 დარღვევა. დარღვევები დაფიქსირდა შემდეგი მიმართულებებით:

- დარღვევების უმეტესი ნაწილი რისკების შეფასების სისტემების არ არსებობით იყო გამოწვეული. რისკების შეფასება / ანალიზი მენეჯმენტის ერთ-ერთი აუცილებელი ფუნქციაა, რომელიც უზრუნველყოფს შემცირდეს ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია შრომითი უსაფრთხეოების წესების დარღვევასთან და დაშავებული თანამშრომლისათვის ზარალის ანაზღაურებასთან. სამუშაო პროცესში მოსალოდნელი რისკების შეფასება გულისხმობს, სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საფრთხეების გამოვლენას, ანალიზს და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების მიღებას. მსგავსი ღონისძიებათა კომპლექსი, ამაღლებს დამსაქმებლის რეპუტაციას, ამცირებს სამუშაო სივცეში დაშავებული /დაზარალებული ადამიანების რაოდენობას და ინციდენტების რაოდენობას.
- დაფიქსირდა, რომ დასაქმებულები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე მუშაობენ. დამსაქმებლები უზრუნველყოფენ დასაქმებულებს ყველა საჭირო აღჭურვილობით, თუმცა, როგორ აღმოჩნდა, დასაქმებულები არ იყენებენ მათ გარკვეული მიზეზების გამო. ეს მიზეზი შეიძლება იყოს დაცვის საშუალების არაკომფორტულობა, მოუხერხებლობა და მათ მოხმარებაზე კონტროლის არ არსებობა.
- აღსანიშნავია დასაქმებულების სწავლებისა და ტრენინგების ჩატარების პროცესში დარღვევები. აღმოჩნდა, რომ დამსაქმებლები არ უზრუნველყოფენ თანამშრომელთა შესაბამის სწავლებას და ინფორმირებულობის დონის ამაღლებას. უსაფრტხო მუშაობის წესებისა და სტანდარტების ცოდნა, მნიშვნელოვნად ამცირებს ინციტენტების რაოდენობას. მაშასადამე, ყველა დასაქმებული უნდა იყოს ინფორმირებული სამუშაო პროცესში მოსალოდნელი საფრთხეების და მათი პრევენციის ღონისძიებების შესახებ.
- საწარმოების / კომპანიების უმეტეს ნაწილში არ ხდება კონტროლინგი ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ თრობაზე, რაც ხშირ შემთხვევაში არის მიზეზი ინციდენტების.
- უბედური შემთხვევების თავიდან აცილებისათვის, მნიშვნელოვანია მოხდეს მომხდარი შემთხვევების აღრიცხვა, ანალიზი და მოკვლევა. როგორც დაკვირვებამ აჩვენა, საწარმოთა უმეტეს ნაწილში მსგავსი აღრიცხვიანობის სისტემა არ არსებობს.
- დაფიქსირდა ტექნიკური ინვენტარის გაუმართაობა: მოაჯირების შეუსაბამობა სტანდარტებთან, დამცავი ბადეების გამოუყენებლობა მშენებლობებზე, ელექტრო უსაფრთხოების გაუმართაობა, ამწის კაბინის მოუწყობლობა და ა.შ.

პირველ ეტაპზე, სამართლებლივი სახდელის ზომად მეწარმეებს განესაზღვრათ გაფრთხილება. მეწარმეებს მიეცათ გარკვეული დრო დარღვევების გამოსასწორებლად. ვადის გასვლის შემდგომ განმეორებითი ინსპექტირებისას აღმოჩნდა, რომ 127-მა საწარმომ სრულად გამოასწორა დარღვევები. 202 საწარმო კი დაჯარიმდა შენიშვნებისა და რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობისათვის 200-დან 14000 ლარის ფარგლებში. 7 საწარმოში დაფიქსირდა საზედამხედველო სამუშაოებისათვის ხელის შეშლის ფაქტი, რის გამოც, მათ დაეკისრათ ჯარიმა 4000-დან 14000 ლარის ფარგლებში. 2019 წელს 117 საჩივარი შევიდა სასამართლოში სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების თაობაზე. აქედან, 92 ობიექტს უსაფრთხოების ნორმების კრიტიკული დარღვევის გამო შეუჩერდა სამუშაო პროცესი.

## 2.2. სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების სტატისტიკა

ზედამხედველი ორგანო ახორციელებს სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევების აღრიცხვას და მოკვლევას, მონიტორიგს უწევს შრომის უსაფრთხოების ნორმების აღსრულებას და გამოყენებას ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.[3]

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის შესაამისად, დამსაქმებელი ვალდებულია უბედური შემთხვევის შესახებ აცნობოს ზედამხედველ ორგანოს. 2019 წელს საწარმოში უბედური სემთხვევის შესახებ გაკეთდა 150 შეტყობინება. 32 შემთხვევაში დაფიქსირდა უბედური შემთხვევის შეუტყობნობის ფაქტი და შესაბამის კომპანიებს დაეკისრათ ადმინისტრაციული ჯარიმა 200-დან 1000 ლარამდე. 2019 წელს სამუშაო ადგილზე დაშავდა 168 ადამიანი და დაიღუპა 45 ადამიანი.

განვიხილოთ გარდაცვლილთა და დაშავებულთა სტატისტიკა 2010-2019 წლებში. უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს დაფიქსირდა გარდაცვლილთა მაქსიმალური მაჩვენებელი ბოლო 10 წელიწადში. საკმაოდ მაღალი იყო დაშავებულების რაოდენობაც. უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის ბოლოსათვის 2018 წელთან შედარებით 16%-ითაა შემცირებული საწარმოო პროცესის დროს დაშავებული ადამიანების რაოდენობა, ხოლო დაღუპულთან რაოდენობა 24%-იანი კლების ტემპით ხასიათდება. თუ დავაკვირდებით გასული წლების მაჩვენებლებს, 2018-2019 წლებში დაფიქსირებული შემთხვევები საკმაოდ მაღალია. რაც ვფიქრობ, გამოწვეულია სეგმენტზე რეგულირების არ არსებობით. შესაბამისად, ახალი რეგულაციების და საზედამხედველო ღონისძიებების დანერგვა, ვფიქრობ საკმაოდ შესამცირებს სამუშაო პროცესში მომხდარი უბედური შემთხვევების რაოდენობას.

[3] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4486188?publication=0

**დიაგრამა 2.2. სამუშაო ადგილზე დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობები 2010-2019 წლებში**




**წყარო:** https://www.moh.gov.ge/uploads/files/2019/Failebi/LCID_Geo_a4_1.pdf

თუ განვიხილავთ საწარმოო უბედურ შემთხვევებს ეკონომიკური სახეების მიხედვით, დავინახავთ, რომ შემთხვევების უმეტესი ნაწილი მოდის მშენებლობის სეგმენტზე (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობებისა და სამოქალაქო მშენებლობა). შემდგომ მოდის დამამუშავებელი და სამთომოპოვებითი მრეწველობის სეგმენტი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სწორედ არნიშნულ დარგებზე გამკაცრდეს საზედამხედველო სამუშაოები განსაკუთრებულად. რეგულაციების ამოქმედების შემდგომ გაუმჯობესდა კომპანიების შრომითი უსაფრთხოების სისტემები, თუმცა კვლავ ფიქსირდება ხარვეზები, რომელიც აუცილებლად საჭიროებს გამოსწორებას. (იხ: დანართი 1, ცხრილი:1)

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში დაბალია შრომითი უსაფრთხოების კულტურის დონე. დასქმებულებს და დამსაქმებლებს არ აქვთ შესაბამისი ინფორმაცია მოსალოდნელი საფრთხეების და რისკების შესახებ, რაც, როგორც წესი, უბედური შემთხვევების ძირითადი მიზეზი ხდება ხოლმე. საჭიროა გარკვეული კამპანიების დაგეგმვა, რომელიც ორიენტირებული იქნება გარკვეულ სეგმენტს მიაწოდოს ზუსტი, დროული და საჭირო ინფორმაცია შრომის უსაფრთხოების შესახებ. ინფორმირებულობის დონე უნდა ამაღლდეს როგორ დასაქმებულთა სეგმენტზე, ასევე დამსაქმებლების ჯგუფებზე.

გამკაცრებული საზედამხედველო ღონისძიებების გატარება, დამატებით ვალდებულებებს და ხარჯებს აკისრებს საწარმოებს და კომპანიებს. ყველა დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას უსაფრთხო სამუშაო გარემო, მიაწოდოს მოსალოდნელი რისკების შესახებ დასაქმებულს ინფორმაცია და უზრუნველყოს სამუშაო პროცესისათვის აუცილებელი შესაბამისი დანადგარებისა და

აღჭურვილობის გამართულობა. მნიშვნელოვანია გადაიხედოს საკანონმდებლო აქტები, რათა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების მაქსიმალურად დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან.

# თავი3. ენერგეტიკის ბაზრის გახსნა და მისი გავლენა ტარიფებზე

## 3.1 ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანი და ძირითადი მიმართულებები.

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა მოიცავს დარგის განვითარების სტარტეგიულ მიმართულებებს, ძირითად პრიორიტეტებს და ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესების შესაძლებლობებს. აღნიშნული პოლიტიკის ძირითადი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს ყველა სახის ენერგიის წყაროს მიწოდებას საკმარისი რაოდენობით და მაღალი ხარისხით.

გამოვყოთ ენერგეტიკული პოლიტიკის რამდენიმე მნიშვნელობანი მიმართულება:

1. **ქვეყანაში არსებული ენერგო რესურსის მაქსიმალური ათვისება, რეზერვების შექმნა და მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია.** საქართველოში არსებული ნავთობის, ქვანახშირისა და ბუნებრივი გაზის რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი აუთვისებელია. საჭიროა მათი მოპოვება-დამუშავების და რაციონალური ათვისების ხელშეწყობა და ენერგეტიკულ რესურსებზე არსებული შიდა მოთხოვნილების საკუთარი რესურსებით დაკამყოფილება. მნიშვნელობანია ენერგორესურსების მინიმალური სტრატეგიული მარაგების შექმნა. ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და ნავთობის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია, გააუმჯობესებს საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.
2. **საქართველოს განახლებადი რესურსების ათვისება.** საქართველო მდიდარია ჰიდრორესურსებით. აქ არის პოტენციალი საკმაოდ კარგად განვითარდეს ქარის, მზის, გეოთერმული წყლის ენერგია, რაც იძლევა შესაძლებლობას ქვეყანა მომარაგდეს ეკოლოგიურად სუფთა ენერგო რესურსებით. აღნიშნული სიმძლავრეების განვითარება შესაძლებელია ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებით. ამისათვის კი აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, გამჭვირვალე, სტაბილური და არადისკრიმინაციული საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ამასთან დაკავშირებული სამეცნიერო და კვლევითი სამუშაოების განხორციელება.
3. **საქართველოს კანონმდებლობა ეტაპობრივად უნდა დაუახლოვდეს ევროკავშირის კანონმდებლობას.** საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობების და თანამშრომლობის გაღრმავება. ამისათვის კი აუცილებელია მოქმედი კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის

კანონმდებლობასთან. ეს ხელს შეუწყობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების გაღრმავებას და კონკურენტილი, ეფექტიანი და მიმზიდველი ენერგეტიკული ბაზრის შექმნას.

4. **საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის განვითარება და ვაჭრობის მექანიზმის გაუმჯობესება.** ენერგეტიკული ბაზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ელექტროენერგიაზე, ბუნებრივ გაზზე და სხვა ენერგო რესურსებზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების ოპტიმიზაცია, რაც მიიღწევა კონკურენტული საბაზრო ეკონომიკის პირობებში. კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია შესაბამისი დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესება, სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება და საქართველოს ენერგეტიკული სისტემის მაქსიმალურად სინქრონიზაცია რეგიონის ენერგეტიკულ სისტემებთან.
5. **საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და მისი, როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლი.** საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, აქვს პოტენციალი მნიშვნელოვნად გაზარდოს მისი, როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლი აღმოსავლეთ-დასავლეთის და ჩრდილოეთი-სამხრეთის სატრანზიტო პროექტების განხორციელებაში. რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებას.
6. **საქართველოში სუფთა ენერგიის წარმოებისა და ვაჭრობის პოტენციალი.** საქართველოში არსებული ჰიდრორესურსები, იძლევა შესაძლებლობას ქვეყანა გახდეს სუფთა ენერგორესურსების წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი რეგიონში. ამას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემო.
7. **ენერგეტიკული პროექტების გარემოსდაცვითი კომპონენტების შეფასება-ანალიზი.** ნებისმირ ენერგეტიკულ პროექტს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია გარემოზე. პროექტის განხორციელების პროცესში, მნიშვნელოვანია შეფასდეს გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება, პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, ასევე ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაცია და კონსულტაციების გამართვა.
8. **მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.** მეტად საყურადღებოა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მისი დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან. მომხმარებელთა მოთხოვნები მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული და მათი ინტერესები დაცული. ენერგეტიკული ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ფაქტორია სამართლიანი და გამჭვირვალე სატარიფო სისტემა. ტარიფმა უნდა

უზრუნველყოს ერთი მხრივ ენერგო რესურსის მიმწოდებელი კომპანიის მიერ გაწეული ხარჯების ანაზრაურება და მეორეს მხრივ, მომხმარებელმა უნდა მიიღოს ხარისხიანი მომსახურება სამართლიან ფასად. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული უნდა იყოს სოციალური პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის სოციალურად დაუცველი ფენებისათვის უწყვეტ ენერგომომარაგებას.

საქართველოში არსებული ენერგეტიკული ბაზრის ეფექტიანად განვითარებისა და ენერგიის მოხმარების ოპტიმიზაციის მიზნით, შემუშავდა ,,ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა“ (ეესგ) (2019-2020). აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სამოქმედო გეგმას, რომელშიც ასახულია ის პოლიტიკური და საინვესტიციო ღონისძიებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს ენერგოეფექტურობის განვითარებას საქართველოში. არნიშნული დოკუმენტი მოიცავს 2019-2020 წლებში გასატარებელ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება შესაძლოა 2022 წლამდე გაგრძელდეს. დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს იმ სტრატეგიული მიზნების განვითარებას, რომლებიც ორიენტირებულია ენერგიის დაზოგვაზე (რაც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობას, სათბულის ეფექტის შემცირებას და ენერგო რესურსების იმპორტს), საზოგადოების და საეთაშორისო ორგანიზაციების ინფორმირებულობის ამაღლებაზე ქვეყანაში არსებული ენერგეტიკის პრიორიტეტული მიმართულებებისა და მისი განხორციელების გზების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია ასევე, მომზადდეს ევროკავშირის ენერგოეფექტურობის დირექტივის ( EED-2012/27/EU) იმპლემენტაციის გეგმების შესახებ ანგარიშგება, რასაც საქართველოს ავალდებულებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ასოცირების შეთანხმება და ენერგეტიკულ კავშირში გაერთიანება.

,,ენერგოეფექტურობის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში“ მოცემულია ენერგოეფექტურობის სამიზნე მაჩვენებლები. რომელთა მიღწევა შესაძლებელია დებულებაში მოცემული ყველა ღონისძიების განხორციელების შემთხვევაში. (იხ: ცხრილი 3.1)

**ცხრილი 3.1. საქართველოს ენერგოეფექტურობის ინდიკატორული მიზნები 2020, 2025 და 2030 წლებისთვის, ბიზნესის ტრადიციული გზით განვითარების ( BAU) სცენართან შედარებით.**

| **წელი** | **2014** | | **2020** | | **2025** | | **2030** | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დასახელება: | პირველადი ენერგია (გვტ.სთ) | საბოლოო ენერგია (გვტ.სთ) | პირველადი ენერგია (გვტ.სთ) | საბოლოო ენერგია (გვტ.სთ) | პირველადი ენერგია (გვტ.სთ) | საბოლოო ენერგია (გვტ.სთ) | პირველადი ენერგია (გვტ.სთ) | საბოლოო ენერგია (გვტ.სთ) |
| BAU-ს სცენარი: | 54894 | 46758 | 63185 | 57426 | 85542 | 70201 | 101810 | 83710 |
| დაზოგვები ღონისძიებებიდან: | - | - | 5455 | 2588 | 10856 | 6167 | 14584 | 9253 |
| დაზოგვები ღონისძიებების შემდეგ: | 54894 | 46758 | 57729 | 54838 | 74687 | 64034 | 87226 | 74457 |
| % დაზოგილი ენერგია BAU-სთან შედარებით: | 0% | 0% | 9% | 4% | 13% | 9% | 14% | 11% |

| | **ენერგოდამზოგავი ღონისძიებების დასახელება:** | **2019** | | **2020** | | **2021** | | **2022** | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ჰორიზონტალური ღონისძიებები** | | | | | | | | | |
| H-1 | ალტერნატიული პოლიტიკის ღონისძიება: ენერგოეფექტური ღონისძიებების დაფინანსების სქემა. | | | | | | | | |
| H-3 | ალტერნატიული პოლიტიკის ღონისძიება: საგანმანათლებლო და სატრენინგო პროგრამები | | | | | | | | |
| H-8 | მომხმარებელთა საინფორმაციო პროგრამები და ტრენინგი. | | | | | | | | |
| T-2 | საზოგადოების ცნობიერება: საინფორმაციო კამპანია სატრანსპორტო სექტორისათვის | | | | | | | | |
| H-2 | აღტერნატიული პოლიტიკის ღონისძიება: ენერგოეფექტურობის სტიმულირება მრეწველობაში | | | | | | | | |
| H-7 | მრეწველობის სექტორსი ენერგოაუდიტისა და მენეჯმენტის სისტემების ინსპექტირების დანერგვა * | | | | | | | | |
| **საჯარო და სამშენებლო სექტორებში გასატარებელი პოლიტიკის ღონისძიებები** | | | | | | | | | |
| H-4 | სტანდარტები, ნორმები და საყოფაცხოვრებო ტექნიკის ენერგოეფექტური ეტიკეტირების სქემები * | | | | | | | | |
| H-5 | კვალიფიკაციის, აკრედიტაციის და სერტიფიცირების სქემები * | | | | | | | | |
| H-9 | შენობების ენერგომახასიათებლების შესახებ დირექტივის კანონმდებლობაში ასახვა და განხორციელება * | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| B-1 | რეგულაციები საცხოვრებელ და კომერციულ სენობებში განათების სისტემების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად | | | | | | | | |
| P-1 | საჯარო შენობებისათვის ენერგოეფექტური ეროვნული საინფორმაციო სისტემის შემუშავება | | | | | | | | |
| P-8 | ენერგოეფექტური საჯარო შესყიდვები ** | | | | | | | | |
| **ტრანსპორტის სექტორში გასატარებელი ღონისძიებები** | | | | | | | | | |
| T-1 | სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესება-ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექინსპექტირება | | | | | | | | |
| T-8 | ავტომობილების გაუმჯობესება: ჰიბრიდული ავტომობილების და ელექტრომობილების რაოდენობის ზრდა ** | | | | | | | | |
| **პირველადი ენერგიის სექტორში გასატარებელი ღონისძიებები** | | | | | | | | | |
| E-2 | ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაცია და ინვესტიციების ზრდა | | | | | | | | |
| E-3 | სიმზლავრის რეზერვებისა და სეზონური რეჟიმების ოპტიმიზაცია | | | | | | | | |
| E-5 | ნორმატიული მოთხოვნები ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების წესების მიმართ_ ინვესტიციების სტიმულირება ** | | | | | | | | |
| E-6 | მილსადენებში ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგების გაანგარისების წესები - ინვესტიციების სტიმულირება ** | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| | პოლიტიკის მიღება და განვითარება |
| | პოლიტიკის განხორციელება |
| | პრიორიტეტული მიმართულებების ენერგიის დაზოგვის მისაღწევად/ ბაზრის განვითარების ხელშეწყობა |
| * | პოლიტიკა, როგორც ენერგეტიკულ გაერთიანებისა და ევროკავშირის ასოციაციაში წევრობის მოთხოვნა |
| ** | უკვე არსებული პოლიტიკა |

**წყარო: სემეკი ( 2013-2019 წლის ანგარიში, გვ:19)**

## 3.2. სემეკი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ( სემეკი) 1997 წლიდან არეგულირებს ელექტროენერგეტიკის სფეროს, 1999 წლიდან ბუნებრივი გაზის სექტორს და 2007 წლიდან წყალმომარაგების სფეროს.

2013 წლის შემდეგ, რაც საქართველომ ენერგეტიკულ თანამეგობრობაში (Energy Community) გაწევრიანებაზე განაცხადი გააკეთა, სემეკი გადავიდა განვითარების ახლა ეტაპზე. შემუშავდა ახალი სტრატეგიული გეგმები და კონცეფციები. გამოიკვეთა რამდენიმე პრიორიტეტული საკითხი: ინფორმაციის გამჭვირვალობა, მმართველობითი სისტემის განვითარება, უფლებების დაცვის კუთხით გარკვეული ღონისძიებების გატარება, არსებული კანონმდებლობის მაქსიმალურად დაახლოება ევროპულ კანონმდებლობასთან.

ცვლილებები განხორციელდა როგორც ელექტროენერგეტიკის სფეროში, ისე ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების სექტორში.

ელექროენერგეტიკის სფეროში განხორციელებული ძირითადი ცვლილებები:

- დამტკიცდა ,,ქსელის წესები“ - რაც გულისხმობს გადამცემი და გამანაწილებელი ქსელების მართვისა და სარგებლობის პროცედურებს, სტანდარტებსა და პირობებს, განვითარების გეგმების დამუშავების და განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს და ამასთანავე, გადამცემ ქსელზე მიერთების საფასურის დაწესებას.
- ელექტროსადგურებმა დიაწყეს ძაბვისა და სიხშირის ავტომატური რეგულატორების განახლება / განვითარების პროცესი. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებას ავტომატურ რეჟიმში, განახლებადი ენერგიების (ქარი, მზე) ათვისებას და დამატებითი მომსახურების დანერგვა / განვითარებას.
- შეთანხმდა / დამტკიცდა გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატების საინვესტიციო გეგმები.
- გარკვეული შეღავათები განისაზღვრა მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით სარგებლობისათვის. შეღავათები შეეხო როგორც ორგანიზაციებს - გათავისუფლდნენ მოგების გადასახადისაგან ასევე ფიზიკურ პირებს - გათავისუფლდნენ საშემოსავლო გადასახადისაგან. აღნიშნული საგადასახადო შეღავათები დაწესდა კომისიისა და ფინანსთა სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე.

ბუნებრივი გაზის სექტორში განხორციელებული ცვლილებები:

- დამტკიცდა ,,ბუნებრივი გაზის ქსელის“ წესები, რითაც განისაზღვრა გამანაწილებელი სისტემის მართვისა და სარგებლობის ზოგადი პირობები, წესები და პროცედურები. ასევე ტრანსპორტირების ძირითადი პრინციპები და სექტორში მოქმედ კომპანიებსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობების ძირითადი მიმართულებები. აღნიშნული წესები განსაზღვრავს ბუნებრივი გაზის ხარისხის მახასიათებლებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ტრანსპორტირების სისტემაში შემოსული გაზი.

- გაიზარდა იმ დასახლებათა რაოდენობა, სადაც შესაძლებელია ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთება. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მომხმარებლისათვის ბუნებრივი გაზით სარგებლიანობას.
- საწყის ეტაპზეა ბუნებრივი გაზის მოთხოვნის პროგნოზირების მოდელი. მოთხოვნის სწორი საპროგნოზო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ტარიფების დადგენას და ზოგადად, სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებას.

წყალმომარაგების სექტორში განხორციელებული ცვლილებები:

- ძალაში შევიდა ,,სასმელი წყლის ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების წესი". რომელიც ადგენს სასმელი წყლის ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების პრინციპებს მოქმედი ლიცენზიანტებისთვის.
- შემოწმდა ყველა ლიცენზიატის ინფრასტრუქტურა და შემუშავდა სალიცენზიო საქმიანობის კონტროლის გეგმა.
- განისაზღვრა სალიცენზიო მოთხოვნები, რაც ავალდებულებს ლიცენზიატ კომპანიას უზრუნველყოს სასმელი წყლის ხარისხიანი, უწყვეტი და უსაფრთხო მიწოდება შესაბამისი სტანდარტების დაცვით.
- მომხმარებელთა კატეგორიას გამოეყო შერეული ტიპის მომხმარებელი. ესაა მომხმარებელი, რომელიც სასმელ წყალს მოიხმარს არასაყოფაცხოვრებო მიზნებისთვისაც. განისაზღვრა შესაბამისი ტარიფები მსგავსი ტიპის მომხმარებლისათვის, რაც გულისხმობს წყალმომარაგების ლიცენზიანტთან საყოფაცხოვრებო ტარიფით ანგარიშსწორებას მოხმარებულ 25 $მ^3$- მდე სასმელი წყლის ოდენობაზე.
- საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის გაუქმდა სასმელი წყლის მრიცხველის 100 ლარიანი გადასახადი, რაც გამრიცხველიანების პროცესის სტიმულირებას ემსახურებოდა. მომხმარებლს, რომელიც წყალს საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის იყენებს, უფასოდ დაუმონტაჟდა აღნიშნული მრიცხველები.

## 3.3 სატარიფო პოლიტიკა

2013-2019 წლებში განხორციელებული რეგულაციების შედეგად, სატარიფო რეგულირება მთლიანად დაექვემდებარა კომისიის ნორმატიულ აქტებს, სატარიფო მეთოდოლოგიას. ამ პერიოდში პრაქტიკულად გაუქმდა მემორანდუმების საფუძველზე ტარიფების დადგენის წელი. წყალომარაგებისა და ელექტროენერგეტიკის სფეროში, განხორციელდა ორეტაპიანი სატარიფო ცვლილება. პირველ ეტაპზე მოქმედებდა ,,დანახარჯები პლიუს" მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც დგინდებოდა ტარიფები. ფასების სტაბილურობის და ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს ხელშესაწყობად, საჭიროა ტარიფების არა ყოველწლიური, არამედ გრძელვადიან პერიოდზე დადგენა. აღნიშნული უზრუნველყოფს დარგში არსებული საწარმოების შემოსავლების სწორ პროგნოზირებას. მეორე ეტაპზე ამოქმედებული სატარიფო სისტემის საფუძველზე,

ტარიფები განისაზღვრა 3 წლით, სადაც გათვალისწინებულია ყველა საპროგნოზო მონაცემი.

დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ბუნებრივი გაზის სექტორშიც ანალოგიური გრძელვადიანი სატარიფო სისტემის დანერგვისათვის. ტარიფების დადგენის მიზნით ჩატარდა 122 საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

**დიაგრამა 3.1. 2013-2019 წლებში ჩატარებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოებეი ტარიფების დადგენის მიზნით**




**წყარო:** http://gnerc.org/old/files/wliuri%20angariSi/Results%202013-2016.pdf

ახალი სატარიფო მეთოდოლოგია ითვალისწინებს წამახალისებელ რეგულაციებს საოპერაციო დანახარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, ასტიმულირებს საინვესტიციო საქმიანობას და უზრუნველყოფს საწარმოების მიერ ტარიფით მისაღები აუცილებელი შემოსავლის გაანგარიშებას ზუსტად. მაშასადამე, მომხმარებლის ტარიფში აისახება მხოლოდ ის დანახარჯი, რაც აუცილებელია მაღალი ხარისხის მომსახურების მიღებისათვის.

ენერგეტიკის სფეროში განხორციელებული რეფორმები მიზნად ისახავს მომხმარებელთა დაცვას მონოპოლიური ფასებისაგან. უზრუნველყოფილია სატარიფო რეგულირების ყველა საწარმოსათვის სტაბილურად ფუნქციონირება თანაბარ გარემოში, სამართლიანი მოგების მიღება და გაწეული გონივრული დანახარჯების ანაზღაურება.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა ბაზრის დერეგულირების და ლიბერალიზაციის საკითხი. გააქტიურდნენ საბითუმო მოვაჭრეები და გაიზარდა ქვეყნის ელექტროენერგიის მთლიან მოხმარებაში პირდაპირი მომხმარებლების წილი. ეს მაჩვენებელი ბოლო ორ წელიწადში 9,5%- ით გაიზარდა, 12%-დან 21,5%-

მდე.[4] შესაბამისად, აქტიურად მიმდინარეობს ენერგეტიკის ბაზრის ლიბერალიზაცია.

## 3.4. ელექტროენერგიის გამომუშავება, მოხმარება, ექსპორტი და იმპორტი

ქართულ ენერგო ბაზარზე ელექტროენერგიის უმეტეს ნაწილს ჰიროელექტროსადგურები აწარმოებენ. აღსანიშნავია ბოლო წლებში ქარის ელექტროსადგურების ამოქმედება და მათი წარმოებეული ენერგო რესურსის ზრდის ტენდენცია. აღნიშნული მიმართულება საკმაოდ პერსპექტიულია საქართველოსთვის. ბოლო სამი წლის განმავლობაში დაფიქსირდა ადგილობრივი წარმოების უმნიშვნელო ზრდა, თუმცა ბაზრის ლიბერალიზაციის პირობებში და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების პირობებში, მოსალოდნელია აღნიშნული შიდა წარმოების მაჩვენებლების ზრდა.

**დიაგრამა 3.2. ელექტროენერგიის ადგილობრივი წარმოება**

**წყარო:**http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=46

უნდა აღინიშნოს სეზონური და მცირე სიმძლავრის მქონე ჰიდროელექტრო სადგურების გამომუშავების ზრდა. 2018 წელს დაფიქსირდა ჰიდროელექტრო სადგურების მიერ გამომუშავებული ენერგო რესურსების მაქსიმალური მაჩვენებელი.

[4] https://galtandtaggart.com/upload/reports/18281.pdf

**დიაგრამა 3.3. ჰიდროელექტრო სადგურების გამომუშავება**




**წყარო:**http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=46

2012 წლიდან ზრდის ტენდენციით ხასიათდება ელექტროენერგიის მოხმარების მაჩვენებელი. მომხმარებელთა გარკვეულ ნაწილში, მოხმარების ტენდენციები საკანონმდებლო ცვლილებებმა გამოიწვია. მაგალითად, პირდაპირი მომხმარებლების მოხმარება 2019 წელს 61.4%-ით გაიზარდა. რაც ამ სეგმენტში ახალი კომპანიების დამატებით აიხსნება. ამასთან, 10.5%-ით შემცირდა დისტრიბუციის ლიცენზიატების მოხმარება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ენერგო-პრო ჯორჯიას მოხმარების შემცირება, რადგან ამ კომპანიის აბონენტების ნაწილი, პირდაპირ მომხმარებლებად დარეგისტრირდა.

**დიაგრამა 3.4. ელექტროენერგიის მოხმარება.**

**წყარო:**http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=46

უნდა ავღნიშნოთ ელექტროენერგიის იმპორტის ზრდის ტემპი ბოლო სამი წლის განმავლობაში. 2017 წელს ზრდის მაქსიმაური მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც ენგურჰესის ორკვირიანმა გაჩერებამ გამოიწვია, მაღალი მოხმარება გახდა მიზეზი 2018 წელს არსებული იმპორტის მატების, ხოლო 2019 წელს 20.5%- იანი მატების მიზეზი ჰიდრო გენერაციისათვის ცუდი კლიმატური პირობები გახდა.

**დიაგრამა 3.5. ელექტროენერგიის იმპორტი**




**წყარო:**http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=46

2019 წელს ელექტროენერგიის იმპორტის 91% განხორციელდა აზერბაიჯანიდან, 9% კი რუსეთიდან. რუსეთიდან იმპორტირებული ენერგო რესურსი სრულად მოიხმარა აფხაზეთის რეგიონმა.

**დიაგრამა 3.6. ელექტროენერგიის იმპორტი**




**წყარო:** https://galtandtaggart.com/upload/reports/18281.pdf

2017-2019 წლებში განსაკუთრებით კლებადია ელექტროენერგიის ექსპორტის მაჩვენებელი. აღნიშნული შეგვიძლია ავხსნათ ბაზარზე არსებული შიდა დეფიციტით, რაც წლიდან წლამდე ღრმავდება მომხმარებლის გენერაციაზე უფრო სწრაფი ტემპით ზრდის გამო. 2019 წლის ივლისის თვეში პირველად განხორციელდა იმპორტი, მაშინ როცა წლების განმავლობაში, ივლისი იპორტის თვე საერთოდ არ იყო.

**დიაგრამა 3.7. ელექტროენერგიის ექსპორტი**




**წყარო:**http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=46

ექსპორტის ძირითადი ნაწილი, თითქმის ნახევარი, თურქეთის მიმართულებით განხორციელდა. ექსპორტი განხორციელდა ასევე სომხეთში, აზერბაიჯანსა და რუსეთში. თურქეთის მიმართულებით ექსპორტი განახორციელა სამმა კომპანიამ: ,,საქართველო- ურბან ენერჯი“ , ,,აჭარ ენერჯი“ და ,,ბახვი ჰიდრო პაუერი“. რუსეთსა და აზებაიჯანში, ესკო არის ერთადერთი ექსპორტიორი, ხოლო ,,საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ ექსპორტიორი იყო სომხეთის მიმართულებით.

**დიაგრამა 3.8. ელექტროენერგიის ექსპორტი**




**წყარო:** https://galtandtaggart.com/upload/reports/18281.pdf

ბოლო რამდენიმე წელია საქართველოს ენერგო რესურსების ბაზარზე სავაჭრო დეფიციტი ფიქსირდება. 2019 წელს კი ამ მაჩვენებელმა მაქსიმუმს მიაღწია.

აღნიშნული დეფიციტის აღმოფხვრისათვის და ენერგეტიკის ბაზრის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაზრის ლიბერალიზაცია. რაც გულისხმობს ბაზარზე ბევრ მიმწოდებელს, რაც გააუმჯობესებს კონკურენტულ გარემოს და მომხმარებელს მისცემს შესაძლებლობას, აირჩიოს ის მწარმოებელი, რომელიც შესთავაზებს მას უკეთეს პირობებს.

საწყის ეტაპზე იგეგმება ,,დღით ადრე ბაზრის" ჩამოყალიბება. აღნიშნული გულისხმობს საბითუმო ბაზრის მოდელს, სადაც ბუნებრივი გაზის და ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა განხორციელდება ფიზიკური მიწოდების წინა დღეს. 2021 წლიდან ამოქმედდება დღით ადრე ბაზრის ელექტრონული პალტფორმა, რაც განსაკუთრებით მარტივს გახდის ყიდვა- გაყიდვის ოპერაციებს. ვაჭრობაში ჩართული იქნება ის პირი / კომპანია, რომელიც დარეგისტრირდება შესაბამის პლატფორმაზე. უახლოეს პერიოდში დაიწყება ასევე ე.წ გაყოფის / unbundling - ის პროცესი. რაც გულისხმობს კომპანიების საქმიანობის განცალკევებას. კომპანიები ერთად აღარ განახორციელებენ მიწოდებისა და განაწილების საქმიანობებს. განაწილების საქმიანობის ნაწილში, სემეკი გასცემს შესაბამის ლიცენზიას და კომპანიას მიენიჭება განაწილების სისტემის ოპერატორის სტატუსი. რაც შეეხება მიწოდების ნაწილს, ჩამოყალიბდება ე.წ უნივერსალური მიმწოდებელი, რომელიც მოემსახურება საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს და მცირე საწარმოებს. ეს იქნება მომხმარებელთა დაცვის მყარი გარანტი.

# დასკვნა

ეკონომიკის რეგულირების მიმდინარე რეფორმების განხილვისას, გამოიკვეთა გარკვეული ტენდენციები. ეროვნული ბანკის მიერ ფიზიკური პირების დაკრედიტების მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებს განსხვავებული დამოკიდებულება მოჰყვა მოსახლეობაში. ხალხის ნაწილი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული რეგულაციები შეამცირებდა ადამიანების ხელმისაწვდომობას ფულად სახსრებზე, ნაწილს კი მიაჩნდა რომ არსებული რთული სიტუაციიდან გამომდინაე, საჭირო იყო ღონისძიებების გატარება. რეფორმების მიმღები და განამხორცილებელი ინსტიტუტები ფიქრობენ, რომ აღნიშნული რეფორმები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოში არსებულ მდგომარეობას ფიზიკური პირების დაკრედიტების მიმართულებით. მინიმუმამდე შემცირდება სესხების რაოდენობა, რომლის მომსახურების შესაძლებლობა არ გააჩნია პიროვნებას. აღნიშნული კი დადებით გავლენას მოახდენს როგორც ფიზიკური პირის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასევე შეამცირებს სესხის გამცემი ორგანიზაციის ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობას.

რთულია ვისაუბროდთ ჯანსაღი დაკრედიტების მიმართულებით გატარებული რეფორმების შედეგებზე რეგულაციების ამოქმედებიდან ერთი წლის ან წელიწად ნახევრის მონაცემებიდან გამომდინარე, რადგან აღნიშნული რეგულაციების ეფექტიანობა, ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას გამოიწვევს გრძელვადიან პერიოდში. თუმცა, შეგვიძლია რეგულაციების ამოქმედების ერთი წლის შეჯამებით, გარკვეული ტენდენციები გამოვკვეთოთ.

განსაკუთრებით საინტერესოა არასაბანკო სექტორი. რომელიც წლების განმავლობაში არ რეგულირდებოდა. რეფორმის ამოქმედებიდან ერთი წლის შემდეგ მნიშვნელოვნადაა პორტფელის ხარისხი და დაკრედიტების სტანდარტი გაუმჯობესებული. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად არ შემცირებულა სესხებზე მოსახლეობის ხელმისაწვლომობის მაჩვენებელი. შემცირდა ხელმისაწვდომობა მარალპროცენტიან სწრაფ და ონლაინ სესხებზე. 2019 წლის ბოლოსათვის გაუმჯობესებულია დეფოლტის ( 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება) მაჩვენებელი. თუმცა უნდა აღინიშროს ასევე, რომ რეგულაციების შემდგომ ბევრმა სესხის გამცემმა ფინანსურმა ინსტიტუტმა განიცადა ლიკვიდაცია. აღნიშნულ ბიზნეს სეგმენტზე სახეზეა რეგულაციების უარუოფითი ზეგავლენა: შემცირდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების თუ სესხის გამცემი სუბიექტების შემოსავალი, რაც გამოწვეული იყო ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 50%-მდე შემცირებით და ვადაგადაცილებულ სესხებზე ჯარიმის/საურავის დარიცხვის სისტემაში განხორციელებული ცვლილებით. თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე

დარიცხული ჯარიმის თანხა არ უნდა აღემატებოდეს ნარჩენი ძირი თანხის 0.27%-ს. შესაბამისად, სანქციის რაოდენობა წლიურად უნდა იყოს არაუმეტეს 98,55%. აღნიშნული მაჩვენებელი რეგულაციის ამოქმედებამდე 150%-საც კი აღწევდა. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნულმა რეფორმამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ბიზნესექტორზე. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს უარყოფითი გავლენა თანდათან მცირდება და რეფორმას გრძელვადიან პერსპექტივაში დადებითი შედეგები ექნება.

სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევების გახშირებულმა მაჩვენებელმა, რეგულაციების გამკაცრების აუცილებლობამდე მიგვიყვანა. 2006 წელს გაუქმდა შრომის სახელმწიფო ინსპექცია, რაც გამოწვეული იყო ,,სახელმწიფოს დერეგულირების პოლიტიკით". ამ ინსტიტუტის გაუქმებამ გამოიწვია შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, მთელი ქვეყნის მაშტაბით. აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი. აღნიშნული დეპარტამენტი აქტიურად ახორციელებს მოკვლევებს სხვადასხვა საწარმოსა თუ კომპანიაში და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ახდენს შემოწმებას, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში აწესებს გარკვეულ სანქციებს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. ვფიქრობ, მსგავსი კონტროლინგის სისტემა საკმაოდ შეამცირებს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების რაოდენობას სამომავლოდაც, თუმცა მიმაჩნია, რომ აუცილებელია საჯარიმო სანქციების გამკაცრება. ჯარიმების ოდენობა, რაც კანონითაა განსაზრვრული, ვფიქრობ არასაკმარისია.

მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა ენერგეტიკის სფეროს განვითრებისათვის. აღნიშნული რეფორმების მიზანი ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება და კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებაა. აქტიურად მიმდინარეობს ენერგეტიკის ბაზრის ლიბერალიზაციის პროცესი. რეფორმები ხორციელდება როგორც ენერგეტიკის სფეროში, ასევე წყალმომარაგებასა და ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფის მიმართულებით.

საქართველოს მთავრობის და შესაბამისი სტრუქტურების მიერ ბოლო დროს განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას ვთქვათ, რომ საქართველოს საკანონმდებლო ბაზა თანდათან უახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს, ხდება განვითარებული ქვეყნის მაგალითების საფუძველზე სტანდარტიზაციის ნორმების დაწესება, განხორციელება და მონიტორინგის სისტემების დანერგვა. მიუხედავად რეფორმებით გამოწვეული უარყოფითი ფაქტორებისა, ვფიქრობ, მსგავსი

ცვლილებები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოს ბიზნეს გარემოს და ეკონომიკურ ინდიკატორებს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


- მუშკუდიანი ზ. (2016) საბანკო სექტორის მდგრადობის როლი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში, 2016 წ
- ლანჩავა ო. (2015) შრომის დაცვა
- სტურუა ნ. (2018) შრომითი ურთიერთობების რეგულირების სტანდარტები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით
- https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3545
- https://space.ge/blog/seskhis-akhali-regulaciebi
- https://www.nbg.gov.ge/index.php?m=726
- https://commersant.ge/ge/post/sesxebis-da-udzravi-qonebis-gaiafeba-ra-gavlena-eqneba-1-noembers-daanonsebul-sabanko-regulacias
- https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2020/annual_report_2019_num_30.04.2020_up_web.pdf
- https://www.nbg.gov.ge/index.php?m=348
- https://www.academia.edu/30826988/%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94_The_lending_policy_of_Financial_Institutions_in_Georgia_and_its_impact_on_the_economic_development.PDF
- https://forbes.ge/news/6276/samomxmareblo-dakrediteba
- https://www.nbg.gov.ge/index.php?m=743
- https://www.nbg.gov.ge/index.php?m=715&lng=geo
- https://commersant.ge/ge/post/teqnikis-magaziebma-momxmarebels-sayofacxovrebo-teqnika-shesadzloa-axali-standartit-mikrosafinanso-organizaciebis-ganvadebit-shestavazos
- https://1tv.ge/analytics/sabanko-regulaciebis-shedegebi-erti-wlis-tavze/
- https://commersant.ge/ge/post/ekonomistebi-ganmartaven-ras-gulisxmobs-da-vis-exeba-sesxis-wliuri-efeqturi-saprocento-ganakvetis-100-dan-50-mde-shemcireba
- https://commersant.ge/ge/post/sesxis-wliuri-efeqturi-saprocento-ganakveti-mcirdeba-ra-icvleba-sesxis-vadagadacilebisas
- http://weg.ge/sites/default/files/weg_-_ria_mocqvladi_momxmareblebi.pdf
- http://energy.gov.ge/projects/pdf/pages/Sakartvelos%20Energetikis%20Ganvitarebis%20Strategia%2020162025%20Samushao%20Dokumentielektroenergetikis%20Natsili%201641%20geo.pdf
- http://www.gse.com.ge/sw/static/file/The-Concept-Design-approved-Geo.pdf
- http://weg.ge/sites/default/files/weg_-_ria_mocqvladi_momxmareblebi.pdf
- https://forbes.ge/news/7833/energoreformebi-2020
- http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=63

- https://matsne.gov.ge/ka/document/view/4852064?publication=0
- https://forbes.ge/news/7833/energoreformebi-2020
- https://openscience.ge/bitstream/1/1036/1/samagistro%20khutsishvili.pdf
- http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/sagartvelo_2020.pdf
- http://gnerc.org/old/files/wliuri%20angariSi/finansuri%20daskvna2018.pdf?fbclid=IwAR1pK7TJpZZ35WES13rs7D0NiwQls6MtN0VKpaC2vZcz2eEQo5TQLQ5djsA
- http://gnerc.org/old/files/wliuri%20angariSi/2018%20w-report%20-%2015.05.2019.pdf?fbclid=IwAR0xEIkJRwAJdtulGTiOUO2VM6MLxiBxYzw2YkO851F_dGFX35BzLp7TlgU
- http://gnerc.org/old/files/wliuri%20angariSi/Results%202013-2016.pdf?fbclid=IwAR2D8Z-LQUPcwJPFbtzXL90YfxLnUx6BCp-UePYLWvUjoCv0dXpHYlv9r34

# დანართი

ცხრილი 1.

სამუშაო ადგილზე დაღუპულთა და დაშავებულთა მონაცემები

| დარგი | 2006 | | 2008 | | 2009 | | 2010 | | 2011 | | 2012 | | 2013 | | 2014 | | 2015 | | 2016 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| მშენებლობა | 15 | 3 | 9 | 12 | 19 | 16 | 32 | 77 | 8 | 7 | 7 | 22 | 5 | 5 | 14 | 11 | 14 | 22 | 18 | 23 |
| ენერგეტიკა | 5 | 2 | 11 | 4 | 7 | 5 | 10 | 12 | 1 | 3 | 5 | 4 | 3 | 2 | 5 | 3 | 6 | 2 | 4 | 6 |
| სამთო მოპოვება | 3 | 2 | 1 | | 2 | 5 | 14 | 11 | 7 | 7 | | | 6 | 1 | 6 | 13 | 3 | 4 | 2 | |
| მეტალურგია | | | 4 | 1 | | 1 | 1 | 15 | 1 | 22 | | 15 | 1 | 5 | 2 | 13 | | 3 | | |
| რკინიგზა | 1 | | 3 | | 2 | 7 | 4 | 3 | 1 | 3 | | 5 | 2 | 2 | 1 | 4 | | | 3 | 5 |
| ნავთობი და გაზი | 3 | 3 | 1 | 4 | 1 | 3 | 1 | 3 | 1 | 1 | | 3 | | 2 | | 4 | | | | |
| სოფლის მეურნეობა | 1 | 4 | 3 | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | | | 4 | 17 | | 1 | | | | 12 | 4 | 3 |
| კავშირგაბმულობა | | | | | 2 | | 1 | 4 | | | | 3 | | 1 | | | | | 1 | |
| მედიცინა | 1 | | | | 1 | 1 | 1 | | | 1 | | 4 | | | | | | | | |
| ტრანსპორტი | 1 | 2 | 1 | | 1 | | 5 | 8 | | 2 | 4 | 12 | 3 | 5 | 2 | 2 | 1 | | 1 | 2 |
| მრეწველობა | 3 | 7 | 1 | 4 | 2 | 12 | 6 | 21 | | 6 | 6 | 17 | 4 | 8 | 5 | 5 | 11 | 15 | 8 | 19 |
| მომსახურების სფერო | | 2 | 4 | 6 | 2 | 3 | 4 | 11 | 2 | 1 | 3 | 16 | 6 | 10 | 6 | 11 | 7 | 23 | 17 | 26 |
| სულ | 33 | 25 | 38 | 34 | 41 | 56 | 81 | 168 | 21 | 53 | 29 | 118 | 30 | 42 | 41 | 66 | 42 | 81 | 58 | 84 |

| | |
|---|---|
| | დაშავებული |
| | გარდაცვლილი |

Ivane Javakhishvili State University

Faculty of Economics and Business

Edesia Kapanadze

# The current reforms in the economic regulation of the business environment in Georgia

Master of Business Administration program

The research was done to gain an academic quality of Master of Business Administration

Scientific adviser: Davit Narmania

Doctor of Economics, Associate Professor

Tbilisi, 2020